

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №26  
2023 წლის 5 ოქტომბერი

ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და 91-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

შეტანის იქნეს ცვლილება „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 დეკემბრის N32 დადგენილების (ვებგვერდი www.matsne.gov.ge 20/12/2022; 190020020.35.143.016652 ) დანართ N1-ში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ნინო ლიპარტელიანი

დანართი №1

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი  
თავი I

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

**მუხლი 1. ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
<b>შემოსავლები</b>	<b>27163.2</b>	<b>33 471.94</b>	<b>7740.72</b>	<b>25731.22</b>	<b>37 199.68</b>	<b>8 669.58</b>	<b>28 530.10</b>
გადასახადები	17591.2	21 842.44	-	21842.44	24 067.20	-	24 067.20
გრანტები	7693.5	8752.40	7740.72	1011.68	9 704.58	8 669.58	1035.00
სხვა შემოსავლები	1878.5	2877.10	-	2877.10	3 427.90	-	3 427.90
<b>ხარჯები</b>	<b>11478,4</b>	<b>14567,42</b>	<b>336,23</b>	<b>14231,19</b>	<b>17 234.55</b>	<b>416.83</b>	<b>16 817.72</b>
შრომის ანაზღაურება	1823,4	2 419.70	-	2 419.70	2 862.88	-	2 862.88
საქონელი და მომსახურება	1617,1	2175.96	330,32	1845,64	2 785.89	416.83	2 369.06
პროცენტი	65.9	751.71	-	751.71	372.78	-	372.78
სუბსიდიები	5989.65	7231.79	-	7231.79	8 567,55	-	8 567.55



გრანტები	474,3	271.40	-	271.40	228.82	-	228.82
სოციალური უზრუნველყოფა	886.8	986.60	-	986.60	1 149.51	-	1 149.51
სხვა ხარჯები	621,3	730.51	5.91	724.60	1 267.12	-	1 267.12
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>15684,8</b>	<b>18904.51</b>	<b>7404,49</b>	<b>11500.02</b>	<b>19 965.13</b>	<b>8 252.75</b>	<b>11 712.39</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>13277,21</b>	<b>18421.27</b>	<b>6895,24</b>	<b>11526,03</b>	<b>25 064.16</b>	<b>9 163.84</b>	<b>15 900.32</b>
ზრდა	13847,3	18637.35	6895,24	11742,11	25 364.16	9 163.84	16 200.32
კლება	570,07	216.08	-	216.08	300.00	-	300.00
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>2407,6</b>	<b>483,24</b>	<b>509,25</b>	<b>(26,01)</b>	<b>(5 099.02)</b>	<b>(911.09)</b>	<b>(4 187.93)</b>
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>2313,5</b>	<b>229.62</b>	<b>509,25</b>	<b>(279,63)</b>	<b>(5 539.30)</b>	<b>(911.09)</b>	<b>(4 628.20)</b>
ზრდა	2313,5	509,25	509,25	0	0.0	0	0.00
კლება	-	279,63	0	279,63	5 539.30	911.09	4 628.20
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>(94.12)</b>	<b>(253.62)</b>	<b>-</b>	<b>(253.62)</b>	<b>(440,27)</b>	<b>-</b>	<b>(440,27)</b>
ზრდა	0,0	-	-	-	-	-	-
კლება	94,12	253.62	-	253.62	440,27	-	440,27
<b>ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>

## მუხლი 2.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება  
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება  
თანდართული რედაქციით

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	სულ	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
<b>შემოსულობები</b>	<b>27733,27</b>	<b>33688.09</b>	<b>7740.80</b>	<b>25947.29</b>	<b>37 499.68</b>	<b>8 669.58</b>	<b>28 830.10</b>
შემოსავლები	27163,20	33472.01	7740.80	25731.21	37 199.68	8 669.58	28 530.10
არაფინანსური აქტივების კლება	570,07	216.08	-	216.08	300.00	-	300.00
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	-	0.0	-
ვალდებულებების ზრდა	0,0	0.0	0.0	0.0	-	0.0	-
<b>გადასახდელები</b>	<b>25325,67</b>	<b>33204.77</b>	<b>7231,47</b>	<b>25973,31</b>	<b>42 598.70</b>	<b>9 580.67</b>	<b>33 018.03</b>
ხარჯები	11478,39	14567.42	336,23	14231,19	17 234.55	416.83	16 817.72
არაფინანსური აქტივების ზრდა	13847,28	18637.35	6895,24	11742,11	25 364.16	9 163.84	16 200.32
ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0.0	0	-	-	-



ვალდებულებების კლება	94,12	253.62	-	253.62	440.27	-	440.27
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>2407,60</b>	<b>483,32</b>	<b>509,33</b>	<b>(26,01)</b>	<b>(5 099.02)</b>	<b>(911,09)</b>	<b>(4 187.93)</b>

### მუხლი 3.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები **37 199.68** ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
<b>შემოსავლები</b>	<b>27163,20</b>	<b>33471.94</b>	<b>7740.72</b>	<b>25731.21</b>	<b>37 199.68</b>	<b>8 669.58</b>	<b>28 530.10</b>
გადასახადები	17591,20	21842.44	-	21842.44	24 067.20	-	24 067.20
გრანტები	7693,49	8752.40	7740.72	1011.68	9 704.58	8 669.58	1 035.00
სხვა შემოსავლები	1878,51	2877.10	-	2877.10	3 427.90	-	3 427.90

### მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები **24 067.20** ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	სულ	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
<b>გადასახადები</b>	<b>17591,20</b>	<b>21842.44</b>	<b>0,00</b>	<b>21842.44</b>	<b>24 067.20</b>	<b>-</b>	<b>24 067.20</b>
საშემოსავლო გადასახადი	0,0	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
ქონების გადასახადი	2818,81	3150.64	0,00	3150.64	3 000.00	0.0	3 000.00
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1332,13	1522.48	0,0	1522.48	1 845.00	0.0	1 845.00
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	496,13	604.19	0,0	604.19	-	-	-
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	67,06	77.96	0,0	77.96	82.00	0.0	82.00
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	201,19	182.94	0,0	182.94	205.00	0.0	205.00
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	722,31	763.07	0,0	763.07	868.00	0.0	868.00
სხვა გადასახადები ქონებაზე	0,0	0,00	0,0	0,00	0,00	0,0	0,00
<b>დამატებითი ღირებულების გადასახადი</b>	<b>14772,39</b>	<b>18691.80</b>	<b>0,00</b>	<b>18691.80</b>	<b>21 067.20</b>	<b>-</b>	<b>21 067.20</b>

### მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები **9 704.58** ათასი ლარის ოდენობით



დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
გრანტები	7693,49	8752.40	9 704,58
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0.0	0.0	0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	7693,49	8752.40	9 704,58
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	329,88	629.01	831.83
გათანაბრებითი ტრანსფერი	0,0	0.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	329,88	580.33	831.83
სპეციალური ტრანსფერი	0.0	48.68	0.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	7363,61	8123.39	8 872,747
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	6232,06	5974.18	6 589,622
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	904.0	904.0	904.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	0.0	500.0	759,065
მგფ-ის თანადაფინანსება	158,35	361.68	0.0
სხვა ტრანსფერები	69,20	883.53	620,00

## მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 3 427.90 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	1823.78	2408.54	3 427.90
შემოსავლები საკუთრებიდან	227,97	327.81	260.00
პროცენტები	0.00	0.00	-
დივიდენდები	0.00	0.00	0.0
რენტა	227,97	327.81	260.00
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	223,57	320.64	240.00
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირაენობა და სხვა) გადაცემიდან	4,41	7.17	20.0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	0,00	0,00	0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	228,28	195.03	320.4



ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	197,71	169.92	280.40
სანებართვო მოსაკრებელი	56,68	35.25	80.0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,01	0.0	-
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.6	1.0	0.40
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0,0	0.0.21	-
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	140,42	133.66	200.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	30.56	25.13	40.0
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	30,56	25.13	40.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1367,53	1 885.68	2 847.5
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0.00	468,56	0.00
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	54,74	152.0	0.0

**მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები **17 234.55** ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად გაზრდილია ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლები, რამდენადაც ასიგნებები გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტისათვის ადამიანური რესურსების პოტენციური ზრდისათვის.

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
<b>ხარჯები</b>	<b>11478,39</b>	<b>14567,42</b>	<b>336,23</b>	<b>14231,19</b>	<b>17 234.55</b>	<b>416.83</b>	<b>16 817.72</b>
შრომის ანაზღაურება	1823,42	2419.70	-	2419.70	2 868.88	-	2 868.88
საქონელი და მომსახურება	1617,09	2175,96	330,32	1845,64	2 785.89	416.83	2 369.06
პროცენტი	65,88	751.71	-	751.71	372.78	-	372.78
სუბსიდიები	5989,65	7231.79	-	7231.79	8 567,55	-	8 567,55
გრანტები	474,26	271.40	-	271.40	228.82	-	228.82
სოციალური უზრუნველყოფა	886,78	986.60	-	986.60	1 149.51	-	1 149.51
სხვა ხარჯები	621,32	730.51	5.91	724.60	1 267.12	-	1 267.12

**მუხლი 8.**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება **25 064.16** ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა **25 364.16** ათასი ლარის ოდენობით



კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	7,70	165.90	463.13
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	12732,94	17393.89	20 398.35
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,30	94.30	714.46
04 00	განათლება	177,33	263.76	163.94
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	928,01	719.50	3 624.28
06 00	მოსახლეობის უზრუნველყოფის და დაცვის სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	---

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 300,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	316.18	216.08	300.00
ძირითადი აქტივები	-	127.63	-
არაწარმოებული აქტივები	316,18	88.45	300.00
მიწა	316,18	88.45	300.00

### მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2505,0	4172.0	5 012,83
7011	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2505,0	4172.0	5 012,83
70111	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2344,0	3164.0	4 175,82
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	161,0	1007.0	837.01
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0,0	0.0	0.0
702	თავდაცვა	125,0	151.0	297.67
704	ეკონომიკური საქმიანობა	12692,0	17933.0	20 295.67
7.42	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	1272,0	1485,0	2 392.89
7045	ტრანსპორტი	9113,0	13383.0	12 285.94
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	9113,0	13383.0	12 285.95
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	2307,0	3065.0	5 616.84
705	გარემოს დაცვა	1421,0	1813.0	2 461.54
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1421,0	1813.0	2 461.24
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1737,0	1511.0	2 772.75



7061	ბინათმშენებლობა	0,0	0,0	0,0
7063	წყალმომარაგება	893,0	560,0	1 148,09
7064	გარე განათება	845,0	951,00	1 624,67
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0,0	0,0	0,0
<b>707</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>111,0</b>	<b>106,0</b>	<b>117,82</b>
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	111,0	106,0	117,82
	სხვა არაკლასიფიცირებული ჯანდაცვის სფეროში	0,0	0,0	0,0
<b>708</b>	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	<b>3409,0</b>	<b>3538,0</b>	<b>7 039,07</b>
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1198,0	1216,0	1 159,98
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	2211,0	2322,0	5 879,09
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	0	0	0,0
<b>709</b>	<b>განათლება</b>	<b>2331,0</b>	<b>3050,0</b>	<b>3 681,52</b>
7091	სკოლამდელი აღზრდა	2255,0	2985,0	3 676,94
7092	ზოგადი განათლება	76,0	65,0	4,57
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	0,0	0,0	0,0
<b>710</b>	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>1093,0</b>	<b>1189,0</b>	<b>1 360,40</b>
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0,0	0,00	0,00
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0,0	0,00	0,00
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	1,0	1,0	2,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	1042,0	1132,0	1 244,67
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	0,0	0,00	0,00
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	0	0	0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	51	56,0	113,73

## მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

1.4. მთლიანი სალდო, ანუ ნაერთი ბიუჯეტი პროფიციტურია და განისაზღვრება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - **5 099.02** ათასი ლარის ოდენობით.

	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
	საოპერაციო სალდო	15684,81	18904,51	19 965.13
	მთლიანი სალდო	2407.71	483,24	(5 099.02)

## მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - **5 539.30** ათასი ლარის ოდენობით.

	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
	ფინანსური აქტივების ცვლილება	<b>2313,48</b>	<b>229,40</b>	<b>(5 539.30)</b>
	ზრდა	2313,48	509,23	0.0
	კლება	0,0	279.83	5 539.30



## მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -440.27 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017-2018-2021-2022 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას.

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს აღებული სესხით სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ხაშურის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში, რომლის გადახდა დაიწყო 2019 წლის ოქტომბერში და დასრულდება 2026 წლის აპრილში. 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ხაშურის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებების საპროგნოზო მოცულობა ჯამში იქნება 179,70 ათასი ლარი, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 128,36 ათასი ლარი.

2. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს აღებული სესხით სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ხაშურის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა „ქ. ხაშურში მე-7 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია“ რომლის გადახდა დაიწყო 2018 წლის დეკემბერში და დასრულდება 2027 წლის მაისში 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ხაშურის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებების საპროგნოზო მოცულობა ჯამში იქნება 286,24 ათასი ლარი, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 232,99 ათასი ლარი.

3. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2018 წლის „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ხაშურის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების ფარგლებში ხორციელდა „ქ. ხაშურში საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა“ რომლის გადახდა დაიწყო 2022 წლის ივლისში და დასრულდება 2029 წლის ივნისში 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ხაშურის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებების საპროგნოზო მოცულობა ჯამში იქნება 3009,69 ათასი ლარი, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 2674,01 ათასი ლარი.

Ø ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯამში ყველა სასესხო ვალდებულებების საპროგნოზო მოცულობა ჯამში იქნება 3475,64 ათასი ლარი, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 3035,36 ათასი ლარი.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
	<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>(94,12)</b>	<b>(253,62)</b>	<b>(440,27)</b>
	ზრდა	0,0	0,0	0,0
	კლება	94,12	253,62	440,27

## მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი **30,0** ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების შესაბამისად.

## მუხლი 14.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი - **415,0** ათასი ლარი მიიძღვრება:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 117,8 ათასი ლარი.

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 294,2 ათასი ლარი .

გ) სარიტუალო მომსახურება 3,0 ათასი ლარი;

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე, წლის განმავლობაში, შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

## მუხლი 15.

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.





თავი II

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2023 წლის პროგრამები და 2023-2026 წლების პრიორიტეტები  
 მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2023 წლის პროგრამები და 2023-2026 წლების პრიორიტეტები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

(პროგრამული კოდი 01 00)

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	2630,46	4322.40	5 310,50
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	2469,27	3314.9	4 473.49
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	606,80	804.79	1 045.24
	ხარჯები	605,26	802.9	1 022.87
	შრომის ანაზღაურება	438,06	610.57	732.01
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,55	1.85	22,36
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	1737,50	2359.5	3 130.58
	ხარჯები	1731,35	2195.48	2 695.41
	შრომის ანაზღაურება	1285,84	1686.0	1 987.73
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,15	164.05	435.170
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	124,97	150.60	297,67
	ხარჯები	124,97	150.6	292,07
	შრომის ანაზღაურება	99,52	123.1	143.14
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	5,600

01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	161,19	1007.3	837.00
01 02 01	სარეზერვო ფონდი	0,0	0.0	21,95
	ხარჯები	0,0	0.0	21,95
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	1.19	1,99	2,00
0	ხარჯები	1,19	1,99	2,00
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	160,0	1005.33	813.05
	ხარჯები	65,88	751,71	372.78
	ვალდებულებების კლება	94,12	253.62	440.27

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	01 02 03
პროგრამის დასახელება:	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმხორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის საფინანსო საბიუჯეტო სამსახური
დაფინანსება	813,05 ათასი ლარი
	<p><b>ქვეპროგრამის მიზანია:</b> საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე ნაკისრი სასესიო ვალდებულების ნაწილობრივ დაფარვა.</p> <p>1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს აღებული სესხით სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ხაშურის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში, შევიძინეთ სპეც მანქანები. აღნიშნული პროექტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 359.4 ათას ლარს, ხოლო გადასახდელი პროცენტი 201,24 ათას ლარს სულ 560,64 ათას ლარს. 01.01.2023 წლის მდგომარეობით კი გადახდილი ძირი შეადგენს 176,69 ათას ლარს, ხოლო პროცენტი 159,30 ათას ლარს სულ 339,0 ათასი ლარი, სულ გადასახდელია 2023 წლიდან ძირი 179,70 ათასი ლარი, პროცენტი 41,93 ათასი ლარი, სულ გადასახდელია 221,63 ათასი ლარი. აქედან 2023 წელს მოხდება მიმდინარე გადასახადის ძირის 51.34 ათასი ლარის და პროცენტის 19,45 ათასი ლარის სულ 70,79 ათასი ლარის დაფარვა. სესხის დასრულების ვადა 2026 წლის აპრილი.</p> <p>2. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს აღებული სესხით სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ხაშურის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა „ქ. ხაშურში მე-7 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია“ აღნიშნული პროექტის მთლიანი მოცულობა 904,3 ათას ლარს, აქედან გრანტი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დაფინანსება (30%) - 271,2 ათასი ლარია, ხოლო მუნიციპალური თანადაფინანსება (20%) - 180,9 ათასი ლარი ანაზღაურებულია. სესხის მოცულობა შეადგენს (50%) - 452,14 ათას ლარს, ხოლო სესხის გადასახდელი პროცენტი - 282,18 ათას ლარს სულ 734,32 ათასი ლარი. 01.01. 2023 წლის მდგომარეობით კი გადახდილი ძირი შეადგენს 165,90</p>



<p>პროგრამის მიზანი და აღწერა</p>	<p>ათას ლარს, ხოლო პროცენტი 205,74 ათას ლარს სულ 371,64 ლარს. სულ გადასახდელი 2023 წლიდან ძირითადი 286,242 ლარი, პროცენტი 76,44 ლარი სულ გადასახდელია 362,68 ათასი ლარი. აქედან 2023 წელს მოხდება მიმდინარე გადასახადის ძირითადი 47,73 ათასი ლარის და პროცენტის 34,38 ათასი ლარის სულ 82,10 ათასი ლარის დაფარვა. სესხის დასრულების ვადაა 2027 წლის მაისი.</p> <p>3. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2018 წლის „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ და ხაშურის მუნიციპალიტეტის შორის გაფორმებული „საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების ფარგლებში ხორციელდა „ქ. ხაშურში საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა“ აღნიშნული პროექტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 6328,49 ათას ლარს, სამუშაოს შემსრულებელი დაჯარიმდა 162,29 ლარით, რაც დაემატება პროექტის ღირებულებას, ანუ სულ პროექტის ღირებულებას 6490,79 ათასი ლარი. გრანტი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დაფინანსება (30%) 1947,23 ათასი ლარია, რასაც ემატება ჯარიმის წილი 113,15 ათასი ლარი ხოლო მუნიციპალური თანადაფინანსება (20%) 1298,15 ათასი ლარია, რასაც აკლდება ჯარიმის წილი 32,45 ათასი ლარი და შეადგენს 1265,70 ათას ლარს, აქედან 2019-2020-2021 წლებში ანაზღაურებული იქნა თანახმად ხელშეკრულების 1166,79 ათასი ლარი, ხოლო 2022 წელს 98,9 ათასი ლარი სულ გადახდილია 1265,69 ათასი ლარი. სესხის მოცულობა შეადგენს (50%) 3245,39 ლარს, რასაც აკლდება ჯარიმის წილი 81,14 ათასი ლარი და შეადგენს 3164,25 ათას ლარს, რომლის გადახდაც გათვალისწინებულია გეგმა-გრანტის შესაბამისად 2022 წლიდან. 01.01.2023 წლის მდგომარეობით გადახდილი ძირითადი 154,55 ათასი ლარი, პროცენტი 691,89 ათასი ლარი სულ 846,44 ათასი ლარი, აქედან 2023 წელიდან გადასახდელი ძირითადი 3009,69 ათასი ლარია, ხოლო პროცენტი - 1216,29 ათასი ლარია, სულ 4225,98 ათასი ლარი. აქედან 2023 წელს გადასახდელი ძირითადი 335,68 ათასი ლარი, პროცენტი 314,47 ათასი ლარი, სულ 650,16 ათასი ლარი. სულ გადასახდელია 846,44 ათასი ლარი სესხის დასრულების ვადაა 2029 წლის ივნისი.</p> <p>სულ 01.01.2023 წლის მდგომარეობით ხაშურის მუნიციპალიტეტის სამივე ვალდებულებიდან სესხის ძირითადი გადახდილია 500,15 ათასი ლარი, პროცენტი 1021,92 ათასი ლარი, სულ ჯამში 1522,06 ათასი ლარი. 2023 წლიდან გადასახდელი ძირითადი 3475,64 ათასი ლარი, პროცენტი 1334,67 ათასი ლარი, სულ გადასახდელია ჯამში 4810,30 ათასი ლარი. აქედან 2023 წელს გადასახდელია ძირითადი 440,27 ათასი ლარი, პროცენტი 362,78 ათასი ლარი, სულ ჯამში 803,05 ათასი ლარი.</p> <p>*შენიშვნა: თანხის გადახდის დღისათვის, გადასახდელი დარიცხული საპროცენტო თანხა იცვლება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღისათვის დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შესაბამისად, ამასთან გადასახდელი ძირითადი თანხა არ შეიცვლება, მუნიციპალიტეტის მიერ გადახდის დღის დადგომამდე გათვალისწინებულია 10,0 ათასი ლარი.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: სასახო ვალდებულება დაიფარება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში</p>

### ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

ინფრასტრუქტურული პროექტების მიზანია, დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას, კერძო კომპანიებსა, თუ ადგილობრივ მთავრობას, გამოიყენონ, აქამდე ძნელად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები, საკუთარი საქმიანობის განვითარებისთვის. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის, აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში იგეგმება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია.

ასევე სამომავლო სარეაბილიტაციო ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციების მომზადებისა და ექსპერტიზის ხარჯები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	14429,23	19444.33	23 068.42
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	9113,02	13382.93	12 285.93
02 01 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია	8704,10	12277.37	11 695.87
02 01 02	შიდა გზების მოვლა პატრონობა	338,82	362,15	325,48
02 01 03	თვითმართველობის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარებისა და საგზაო ნიშნების მოწესრიგება	70,11	743.40	264,58
02 02	წყლის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	892,50	560.1	1 148.09
02 02 01	წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	785,65	454.28	947.51
02 02 01 01	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	713,13	348.69	818.54
02 02 01 02	წყლის სათავე ხავერდების მოვლა შენახვა ა(ა)იპ ხაშურსერვისი	72,52	48,35	0.0
02 02 01 03	წყლის სათავე ხავერდების მოვლა შენახვა ა(ა)იპ წყლის და გამწვანების კომპანია	0,0	57.24	128,97
02 02 02	საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია	106,85	105.82	200.58
02 02 02 01	საკანალიზაციო სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია	6,83	0.0	27,40



02 02 02 02	სანიაღვრე არხების მოწყობა და გაწმენდა	100,02	105.82	173,18
<b>02 03</b>	<b>გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია და მოვლა პატრონობა</b>	<b>844,71</b>	<b>951.27</b>	<b>1 624.66</b>
02 03 01	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	621,05	711.85	1 295.53
02 03 02	გარე განათების სისტემების მოვლა პატრონობა	223,65	239.42	329.13
<b>02 04</b>	<b>ბინათმესაკუთრეთა აშხანაგობების განვითარება</b>	<b>198,67</b>	<b>155.61</b>	<b>625,75</b>
<b>02 05</b>	<b>კეთილმოწყობის ღონისძიებები</b>	<b>724,72</b>	<b>2343.76</b>	<b>2 890.67</b>
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია	724,72	2343.76	2 890,67
02 05 01 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტადიონების და სპორტული მოედნების მოწყობა	318,19	1439.67	1 433.91
02 05 01 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკებისა და სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია	294,10	682.83	1 351,25
02 05 01 03	ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები	69,77	171.03	30.00
02 05 01 04	სასაფლაოს მოწყობა და მოვლა-პატრონობა	42,65	50.23	75.51
02 05 01 04 01	სასაფლაოების შემოღობვა	0,00	0,00	12,07
<b>02 06</b>	<b>სოფლის პროგრამის მხარდაჭერა</b>	<b>1271,51</b>	<b>1485.04</b>	<b>2 392.89</b>
<b>02 07</b>	<b>საპროექტო-საანგარიშობრივი და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა</b>	<b>405,28</b>	<b>501.56</b>	<b>1 097.55</b>
<b>02 08</b>	<b>საპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია.</b>	<b>978,83</b>	<b>64.06</b>	<b>1002.86</b>
<b>02 09</b>	<b>მოქალაქეთა თანამონაწილეობითი ბიუჯეტი</b>	<b>0,00</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>02 01</b>
პროგრამის დასახელება:	<b>გზების მშენებლობა რეაბილიტაცია</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური
დაფინანსება	<b>12 285.93</b> ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p><b>პროგრამის მიზანია</b> საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მუნიციპალური გზის (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან და მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი გზების მშენებლობა; არსებული გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება, ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;</p> <p><b>ქვეპროგრამის აღწერა:</b> მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. ქალაქ ხაშურს გააჩნია ხელსაყრელი ადგილმდებარეობა ტრანზიტული მიმოსვლის თვალსაზრისით რეგიონთაშორისი და სახელმწიფოთაშორისი სატრანსპორტო კორიდორის შექმნის, განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქალაქისათვის, არამედ მთელი რეგიონისათვის. მოვლილი ქალაქის ქუჩები გზები და ტროტუარები ასევე მნიშვნელოვანია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, მუნიციპალიტეტში ახალი გზების მშენებლობას, გენდერულად მგრძობიარე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას, შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გზების ადაპტირებას, ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებისა და სიჩქარის შემზღვევადი საშუალებების მოწყობას საზოგადოებრივი მნიშვნელობის სხვადასხვა ობიექტებთან. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები ხმარდება გზების რეაბილიტაციას, მიმდინარე შეკეთებას და თანადაფინანსებას. მიმდინარე პერიოდისათვის მუნიციპალური გზების 60% სრულად რეაბილიტირებულია, დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ნაწილზე იგეგმება შესაბამისი სამუშაოების ჩატარება.</p> <p>გზების კაპიტალური შეკეთების ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის დაზიანებული და ამორტიზირებული გზების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. სამუშაოების მოცულობა დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერზე. ბოლო წლების განმავლობაში, საშუალოდ წლის განმავლობაში, კაპიტალური რეაბილიტაცია უტარდება 27 378 გრძ/მ გზას (მათ შორის ახალი გზებია 17 000 გრძ/მ), გარდა ამისა, ადგილობრივი</p>



	ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.
მოსალოდნელი შედეგი	<b>პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:</b> რეაბილიტირებული გზები დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ამ გზებით სარგებლობა იქნება უსაფრთხო და კომფორტული. შექმნილია გენდერულად პასუხისმგებლიანი ადგილობრივი საგზაო ინფრასტრუქტურა, გაზრდილია გზების ექსპლუატაციის პერიოდი და უზრუნველყოფილია მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;

<b>ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>02 01 01</b>
ქვეპროგრამის დასახელება:	<b>გზების მშენებლობა რეაბილიტაცია</b>
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური
დაფინანსება	<b>11 695.87</b> ათასი ლარი
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	<p><b>ქვეპროგრამის მიზანია:</b> საგზაო ინფრასტრუქტურის კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია, გენდერულად მგრძობიარე ინფრასტრუქტურის შექმნა, გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება;</p> <p><b>ქვეპროგრამის აღწერა:</b> მოასფალტდება და რეაბილიტირდება შიდა საქალაქო და სასფლო გზები, ადგილობრივი მოსახლეობათან ერთად ისარგებლებს 1500-მდე მგზავრი. რეაბილიტირებული გზებით საერთო ჯამში ისარგებლებს ადგილობრივი მოსახლე, დამსვენებელი მათ შორის ტურისტი, რაც მნიშვნელოვანი დამაკავშირებელია მიმდებარე სოფლების, ადმინისტრაციულ ცენტრთან. პროექტები შესაძლებელს გახდის რომ, მოსახლეობა გადაადგილდებოდეს შეუფერხებლად, როგორც ფეხით, ასევე ტრანსპორტით. არ შეექმნას პრობლემა უამინდობის პერიოდში გადაადგილებაზე, ხოლო სოფლები ერთმანეთს და ადმინისტრაციულ ცენტრს დაუკავშირდნენ რეაბილიტირებული გზებით. ასევე დაზიანებული ხიდების კაპიტალური აღდგენა-რეაბილიტაცია დაგეგმილია: ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია გენდერული ასპექტების გათვალისწინებით. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (ე.წ. ორმული შეკეთება); არასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორება და მოხრეშვა-მოშანდაკებას; სამუშაოები შესაძლებელია განხორციელდეს საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა. პრიორიტეტები ფარგლებში, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. კერძოდ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით საგზაო ინფრასტრუქტურის კაპიტალური რემონტი შემდეგ ლოკაციაზე: 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების და ქუჩების მოასფალტება კერძოდ <b>1.</b> სოფელ ბიჯნისში მისასვლელი გზის მოასფალტება პროექტის ღირებულება <b>600,0</b> ათასი ლარი (2400 გრმ/მეტრი) ისარგებლებს 150 ბენეფიციარი. <b>2.</b> სოფელ ურთხვაში მისასვლელი გზის დაგება მთლიანი პროექტის ღირებულება <b>600,0</b> ათასი ლარი (700 გრმ/მ) ისარგებლებს 250 ბენეფიციარი, <b>3.</b> დაბა სურამში ვიკანძის ქუჩის მოასფალტება პროექტის ღირებულება <b>133,90</b> ათასი ლარი (200გრმ/მეტრი) ისარგებლებს 100 ბენეფიციარი. <b>4.</b> დაბა სურამში ლესელიძის ქუჩის მოასფალტება პროექტის ღირებულება <b>132,08</b> ათასი ლარი (190 გრმ/მეტრი) ისარგებლებს 200 ბენეფიციარი. <b>5.</b> დაბა სურამში ბარათაშვილის ქუჩის მოასფალტება პროექტის ღირებულება <b>130,0</b> ათასი ლარი (190 გრმ/მეტრი) ისარგებლებს 100 ბენეფიციარი. <b>6.</b> სოფ. გომში სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია <b>118,2</b> ათასი ლარი (180 გრმ/მეტრი) ისარგებლებს 500 ბენეფიციარი. <b>7.</b> სოფ. ალში სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია <b>645,82</b> ათასი ლარი (850 გრმ/მეტრი) ისარგებლებს 400 ბენეფიციარი. <b>8.</b> სოფელ ყიფიანთუბანში გზის მოწყობა <b>150,0</b> ათასი ლარი. (300 გრმ/მეტრი) ისარგებლებს 40 ბენეფიციარი. <b>9.</b> გზებზე ორმოულების სამუშაოების წარმოება <b>247,17</b> ათასი ლარი (6000 გრმ/მ) 4000 ბენეფიციარი. <b>10.</b> ქ. ხაშურში მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაცია <b>246,6</b> ათასი ლარი ისარგებლებს 3000 ბენეფიციარი. <b>11.</b> სოფელ ახალუბნამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია <b>385,7</b> ათასი ლარი 547 გრ/მ ისარგებლებს 150 ბენეფიციარი. <b>12.</b> დაბა სურამში გოგოლის ქუჩის მოწყობა <b>99,4</b> ათასი ლარი ისარგებლებს 80 ბენეფიციარი, ქ ხაშურში კოლეჯი ქართლის მიმდებარე ტერიტორიაზე ცემენტობეტონის გზის მოწყობა <b>104,2</b> ლარი ისარგებლებს 200 ბენეფიციარი. ამასთან დასრულიდება 2022 წლიდან 2023 წელში გარდამავალი მრავალწლიანი პროექტები, რომელთა დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაიგეგმა (საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულება და ( საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის იანვრის N2475 განკარგულება) ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, კერძოდ <b>1.</b> ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცოცხნარამდე და ქემფრამდე მისასვლელი გზის მოასფალტება <b>2544,19</b> ათასი ლარი პროექტი გარდამავალია 2023 წელში სრული ღირებულება <b>4599,99</b> ათასი ლარია, ისარგებლებს 1933 ბენეფიციარი, 6800გრ/მ. <b>2.</b> სოფელ ბრილში მისასვლელი გზის</p>





	<p>მოსაფლავლება თანხით 1007,0 ათასი ლარი 3431 გრ/მ, 313 ბენეფიციარი, პროექტი გარდამავალია 2023 წელს სრული ღირებულება 2042,6 ათასი ლარია, 3. ჩქაროსნული ავტომაგისტრალიდან გაგარინის ქუჩამდე მისასვლელი გზის მოასფალტება თანხით 186,6 ათასი ლარი 1828 გრ/მ ისარგებლებს 10 000 ბენეფიციარი პროექტი გარდამავალია 2023 წელს სრული ღირებულება 1151,6 ათასი ლარია, 4. სოფელ ნაცარგორაში მისასვლელი გზის მოასფალტება თანხით 1 595,6 ათასი ლარი 2684 გრ/მ ისარგებლებს 201 ბენეფიციარი. 5. დაბა სურამში ლესელიძის ქუჩაზე გზის მოასფალტება 230,9 თასი ლარი, ასევე 1. სოფელ ბულბულისციხემდე მისასვლელი გზის მოასფალტება (საქართველოს მთავრობის 2023 წლის 09 თებერვლის N301 განკარგულება) პროექტი გარდამავალია ღირებულება 2023 წელს 799,01 ათასი ლარია აქედან სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება 759,06 ათასი ლარი, ხოლო 39,95 ათასი ლარი. სულ პროექტის ღირებულება 1307,99 ათასი ლარი, ასევე წინა წლების ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული 2,5%. 2023 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, გზების კაპიტალური შეკეთება შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალიტეტის სხვა გზებზეც. ლოკაციების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით. აღნიშნული პროექტები შესაძლებელს გახდის რომ, მოსახლეობა გადაადგილდებოდეს შეუფერხებლად, როგორც ფეხით, ასევე ტრანსპორტით. არ შეექმნას პრობლემა უამინდობის პერიოდში გადაადგილებაზე, ხოლო სოფლები ერთმანეთს და ადმინისტრაციულ ცენტრს დაუკავშირდნენ რეაბილიტირებული გზებით.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p><b>ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი:</b> გენდერული ასპექტების გათვალისწინებით რეაბილიტირებულია საგზაო ინფრასტრუქტურა და შექმნილია პირობები ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა, მათ შორის შშმ პირებისა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისთვის.</p>

<p><b>ქვე პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b></p>	<p><b>02 01 02</b></p>
<p>ქვეპროგრამის დასახელება:</p>	<p><b>შიდა გზების მოვლა - შენახვა</b></p>
<p>ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:</p>	<p>ქვეპროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი „ხაშურსერვისი“ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური</p>
<p>დაფინანსება</p>	<p><b>325.48</b> ათასი ლარი</p>
<p>ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა</p>	<p><b>ქვეპროგრამის მიზანი:</b> არსებული შიდა გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; შიდა გზების მოვლა-პატრონობა - მიმდინარე შეკეთება, საექსპლუატაციო ვადის გახანგრძლივებისა და უსაფრთხო გადაადგილებისთვის</p> <p><b>ქვეპროგრამის აღწერა:</b> შიდა გზების მოვლა-პატრონობა - მიმდინარე შეკეთება, საექსპლუატაციო ვადის გახანგრძლივებისა და უსაფრთხო გადაადგილებისთვის ქალაქ ხაშურში ადგილობრივი საავტომობილო გზების საერთო სიგრძე შეადგენს 297 კმ-ს. ა) ქალაქის პერსპექტიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მიმართულების მუდმივი სრულყოფა ქუჩების დაპროექტების მშენებლობის და ექსპლუატაციის სფეროში პროგრესი ქუჩების კეთილმოწყობაში დაკავშირებულია რიგ პრობლემებთან გრუნტის ყოველმხრივი გამოკვლევა და შესწავლა მიწის საფარის ჰიდრო და სითბური რეჟიმის კანონების გათვალისწინება მინერალური მასალების ფართოდ შესწავლა მოხრეშილი საფარიანი გზების მშენებლობის ტექნოლოგიების გამოკვლევა და სხვა ბ) ნორმალური ქუჩა და გზა ხელს უწყობს საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებას საავტომობილო ტრანსპორტის განვითარება კი განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარების ტემპებს და დონეს ქალაქის და სხვა ტიპის ტრანსპორტის ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ გზებისა და ქუჩების განვითარებული ქსელის არსებობის პირობებში, რომელსაც გააჩნია ყველა თვისება უსაფრთხო მოძრაობისათვის როგორც გამოცდილებამ უჩვენა ნორმალური ქუჩა და გზა დადებითად მოქმედებს ეკონომიკისა და სოციალური დონის განვითარებაზე ამავე დროს აქვს უარყოფითი თვისებებიც, რაც დაკავშირებულია დიდი რაოდენობით საგზაო სატრანსპორტო შემთხვევასთან ა) დიდთოვლობის შედეგად მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისათვის განხორციელდება ქალაქ ხაშურში ცენტრალური ქუჩების, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და მუნიციპალიტეტის დასახლებასთან (თითოეული ტერიტორიული ორგანოში შემავალი სოფლები) დამაკავშირებელი შიდა გზების გაწმენდა თოვლის საფარისაგან და შესაბამისი მოვლა-პატრონობა. ბ) განხორციელდება ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი მდინარეების (მდ. სურამულა, მდ. ჭერათხეულა) კალაპოტის წმენდა და ამოღებული ინერტული მასალების ძირითადი მასა გამოყენებული იქნება გზების სარეაბილიტაციოდ. გ) მუნიციპალიტეტის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელდეს გზების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (გრუნტის მოჭრა-გატანა, მოხრეშვა, მოშინდაკება, მოსწორება, თოვლის საფარისაგან გაწმენდა ) და საჭიროებისამებრ შეიძინოს აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მასალები (საწვავი, ქვიშა-ღორღი, ტექნიკური მარილი), რიგ შემთხვევაში მოახდინოს საჭირო მექანიზმების დაქირავება. დ) მუნიციპალიტეტის მოთხოვნების შესაბამისად გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე შედგეს წინასწარი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ხოლო შესრულებულ სამუშაოებზე შესრულებული სამუშაოს აქტი და მიღება-ჩაბარების აქტი.</p> <p>ქ. ხაშურში ასევე სოფლების დამაკავშირებელი გზებს ჩაუტარდება მიმდინარე შეკეთება (</p>



	ორმოული სამუშაოები, მოხრეშვა). შესაბამისად შესრულებული სამუშაოები უსაფრთხოდ გახდის ამ გზებზე გადაადგილებას, ასევე ქალაქის ქუჩების, დაბა სურამისა და მუნიციპალიტეტის დასახლებასთან (თითოეული ტერიტორიული ორგანოში შემავალი სოფლები) დამაკავშირებელი შიდა გზების სათანადო მდგომარეობაში მოვლა-შენახვა
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი: უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში არსებული შიდა გზების მოვლა-პატრონობა, გახანგრძლივებულია გზების ექსპლუატაციის ვადა და ქალაქ ხაშურის, დაბა სურამისა და სოფლების ადგილობრივი მოსახლეობისა და საკურორტო სეზონზე დამსვენებლებისთვის მოწყობილია სათანადო ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული და ადაპტირებულია შიდა საგზაო ინფრასტრუქტურა. რეაბილიტირებული გზებით საერთო ჯამში ისარგებლებს ქალაქ ხაშურის და სოფლების ადგილობრივი მოსახლეები და დამსვენებლები საკურორტო სეზონზე.

<b>ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>02 01 03</b>
ქვეპროგრამის დასახელება:	<b>თვითმართველობის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარებისა და საგზაო ნიშნების მოწესრიგება</b>
ქვეპროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური
დაფინანსება	<b>264,584</b> ათასი ლარი
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	<p><b>ქვეპროგრამის მიზანი:</b> ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოდ გადაადგილებისთვის.</p> <p><b>ქვეპროგრამის ძირითადი მიმართულებები:</b> ქალაქ ხაშურში ადგილობრივი საავტომობილო გზებზე საგზაო ნიშნები მოძრაობის უსაფრთხოების მოწესრიგებისა და უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი საშუალებაა. ისინი აფრთხილებენ საგზაო მოძრაობის მონაწილეებს სხვადასხვა სახიფათო უბნებთან მიახლოების შესახებ, ზღუდავენ ან კრძალავენ ქუჩებისა და გზების ცალკეულ უბნებზე ზოგიერთი სატრანსპორტო საშუალების მოძრაობას, აწესრიგებენ გზაჯვარედინის, სავალი ნაწილების გადაკვეთისა და გზის ვიწრო უბნის გავლის თანმიმდევრობას, აზუსტებენ ძირითადი ნიშნების მოქმედების ზონას, დროს, მანძილს ობიექტამდე ან ზღუდავენ მათ მოქმედებას ნებას. ყველა ტიპის ტრანსპორტის ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ გზებისა და ქუჩების განვითარებული ქსელის არსებობის პირობებში, რომელსაც გააჩნია ყველა თვისება უსაფრთხო მოძრაობისათვის, როგორც გამოცდილებამ უჩვენა ნორმალური ქუჩა და გზა დადებითად მოქმედებს ეკონომიკისა და სოციალური დონის განვითარებაზე, ამავე დროს აქვს უარყოფითი თვისებებიც, რაც დაკავშირებულია დიდი რაოდენობით საგზაო სატრანსპორტო შემთხვევასთან, ამიტომ მოძრაობის უსაფრთხოებისა და მძღოლთა ორიენტაციის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია საგზაო ნიშნების დაყენება ზღუდეების დადგმა მიმართველებისა და ჰორიზონტალური და ვერტიკალური ზოლების დატანა ქუჩის ასფალტირებულ საფარზე. სულ მუნიციპალიტეტში ამ დროისთვის დასრულებულია ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომრის ამომცობ ანალიტიკურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან თავსებადი ვიდეო სამეთვალყურეო 23 კამერის და ზოგადი ხედვის 13 კამერის მონტაჟი. ასევე გათვალისწინებულია „ჩქაროსნულ მაგისტრალზე ოსიურთან და ჩუმათელეთთან მოწყობილი 5 ვიდეო-სათვალთვალო კამერის ყოველთვიური მომსახურება. საგზაო ნიშნები და შუქნიშნები მონტაჟდება ისე, რომ ადვილი და თავისდროული გასარჩევი და დასანახი იყოს იმ მძღოლისათვის ვისთვისაც არის გათვალისწინებული ქვეპროგრამის განხორციელების გზები.. ასევე წინა წლების ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული 2,5%.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<b>ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი:</b> ქ. ხაშურსა და დაბა სურამში ორგანიზებულია საგზაო მოძრაობა, შექმნილია გენდერულად პასუხისმგებლიანი ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მოსახლეობისა და საკურორტო სეზონზე დამსვენებელთა (ბავშვების, ქალების, შშმ პირების, მოხუცების და სხვა) უსაფრთხო გადაადგილება. და საგზაო მოძრაობის წესების დაცვა.

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>02 02</b>
პროგრამის დასახელება:	<b>წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური
დაფინანსება	<b>1 148.09</b> ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p><b>ქვეპროგრამის მიზანი:</b> მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სასმელი წყლის სისტემების მოწყობა/რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია, წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის და სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია. ხაშურის მუნიციპალიტეტში</p>



პროგრამის ფარგლებში სოფლებში სასმელი წყლის ჭაბურღილების, სატუმბო სადგურების, სათავე ნაგებობების მიერ მოხმარებული ელექტრო ენერჯის საფასურის ანაზღაურება. შესაბამისად მუნიციპალიტეტის დასახლებებში სასმელი წყლის რეგულარული და გრაფიკით მიწოდება;

**ქვეპროგრამის აღწერა:**

-წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შედგება 3 ქვეპროგრამისაგან:  
 -წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია;  
 -წყლის სათავე ნაგებობების მოვლა-შენახვა;  
 -წყლის სისტემების, საკანალიზაციო და სანიადვრე სისტემის მოწყობა რეაბილიტაცია ექსპლუატაცია მოვლა-პატრონობა  
 წყლის სისტემების მშენებლობა - რეაბილიტაციის ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები.

